ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4614558

ნომერი: AR1696746

თარიღი : 25.07.2019

გაცემის თარიღი : 01.08.2019

გაცნობის თარიღი : 05.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N37მ; ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის ირგვლივ ; ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის; ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 37-39 მიმდებარედ , ნაკვეთი 03/158;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხოსრუაშვილი პ/ნ 01009011823
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 12 ბ. 58

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3962317 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 25 ივლისს NAR1696746 განცხადებით მომართა ნინო ხოსრუაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3962317 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3962317 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ / სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.14.14.003.176) მრავალფუნქციური შენობის და სსიპ თვითმმართველი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი N 01.14.14.003.188) მიწისქვეშა ავტოსადგომის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 19 აპრილის №4465405 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 19 აპრილიდან 2020 წლის 19 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 04 ივლისის №4573800 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3962317 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 100182.9კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 15488,2კვ.მ, საოფისე ფართობად 18119,4კვ.მ, კომერციულ ფართობად 18784,4კვ.მ, საზაფხულო ფართობად 5718,5კვ.მ, აუზის ფართობად 809.4 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3962317 ბრძანებით შეთახნებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ვერ ხერხდება ფართების იდენტიფიცირება დანიშნულების მიხედვით. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია გასწორებული გეგმები და ითხოვს შეთანხმებული გეგმების, წინადმებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილით ჩანაცვლებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3962317 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3962317 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მაისის №3962317 და 2019 წლის 04 ივლისის №4573800 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.